



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია



წერილის ნომერი: 30-302033019
თარიღი: 25/11/2020
პინი: 3637

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოხსენებით ბარათს.

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას წერილით მომართა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა, რომელიც ითხოვს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი გვიმბალაური, ს/კ 27.08.47.430; შენობა-ნაგებობა N1- საერთო ფართი 1322,1 კვ.მ.) ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით-უზუფრუქტის ფორმით, 10 წლის ვადით გადაცემას. იმისთვის, რომ ფედერაციამ შეძლოს აკადემიის მოვლა-პატრონობა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის საკითხს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ომარ ჯანაძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური



წერილის ნომერი: 08-302033018
თარიღი: 25/11/2020

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ალექსანდრე სარიშვილს
ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ომარ ჯანაძის
მოხსენებითი ბარათი

ბატონო ალექსანდრე,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს დაეწერა ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ პრეზიდენტის 2020 წლის 24 ნოემბრის N525 წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ გვიმბალაურში მდებარე N1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართობი-1322,1 კვ.მ მათ შორის პირველი სართულის ფართი 494,9 კვ.მ; მეორე სართულის ფართი 413 კვ.მ; მესამე სართულის ფართი 412,2 კვ.მ) დროებით სარგებლობაში, უზუფრუქტის უფლებით 10 (ათი) წლის ვადით, სასყიდლით, სიმბოლურ ფასად, წლიური საფასურით 1 (ერთი) ლარად ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის“ გადაცემა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ გვიმბალაურში მდებარე უძრავი ქონებიდან (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 27.08.47.430)-N1 შენობა-ნაგებობა (საერთო ფართობი-1322,1 კვ.მ მათშორის პირველი სართულის ფართი 494,9 კვ.მ; მეორე სართულის ფართი 413 კვ.მ; მესამე სართულის ფართი 412,2 კვ.მ) დროებით სარგებლობაში, უზუფრუქტის უფლებით 10 (ათი) წლის ვადით, სასყიდლით, სიმბოლურ ფასად, წლიური საფასურით 1 (ერთი) ლარად გადაეცეს ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას“.

ზემოთ აღნიშნული ქმედებების განსახორციელებლად საჭიროა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანება. გთხოვთ დაავალდოთ იურიდიულ სამსახურს სათანადო პროექტის მომზადება.

პატივისცემით,

ლმარ ჯანაძე

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური-ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი (მოვალეობის
შემსრულებელი)

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2020 წლის ნოემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი გვიმბალაური, ს/კ 27.08.47.430; შენობა-ნაგებობა N1- საერთო ფართი 1322,1 კვ.მ.) ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით-უზუფრუქტის ფორმით, 10 წლის ვადით გადაცემაზე.

მუხლი 2. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით - უზუფრუქტის ფორმით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განსაზღვროს 1(ერთი) ლარის ოდენობით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე



525

24.11.2020 წ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ალექსანდრე სარიშვილს.

ბატონო ალექსანდრე,

როგორც მოგეხსენებათ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას“ შორის 2019 წლის 26 ივლისს გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ფედერაციას 20 წლის ვადით გადაეცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვიმბალაურში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სტადიონი (ს.კ. 27.08.47.385). ფედერაციამ საკუთარი სახსრებით უზრუნველყო აღნიშნულ სტადიონზე ხელოვნურსაფარიანი მიწის მოწყობა. ხოლო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა მოაწყო ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის დანარჩენი ინფრასტრუქტურა. იმისათვის, რომ ფედერაციამ შეძლოს აკადემიის მოვლა-პატრონობა, მიმდინარე კომუნალური გადასახადების გადახდა და მისი გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება გათხოვთ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვიმბალაურში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N1 შენობა-ნაგებობა (საერთო ფართობი 1322.1 კვ.მ. (მ.შ. I სართულის ფართი -494.9 კვ.მ. II სართულის ფართი -413 კვ.მ. III სართულის ფართი 412.2 კვ.მ.) დროებით სარგებლობაში - უზუფრუქტის უფლებით 10 (ათი) წლის ვადით, სასყიდლით, სიმბოლურ ფასად წლიური საფასურით 1 (ერთი) ლარად გადმოსცეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით, უახლოეს საკრებულოს სხდომაზე გაიტანოთ აღნიშნული საკითხი განსახილველად.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისა და დახმარებისთვის.

პატივისცემით

ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ პრეზიდენტი

ლევან კობიაშვილი

